EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N 312/10
გიორგი ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 15 სექტემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე - ლედი ბიანკუ,
მოსამართლეები - ნონა წოწორია, პოლ მაჰონი,
და სექციის განმწესრიგებელი მოადგილე - ფატოშ არაჩი,

მხედველობაში მიიღო 2009 წლის 15 დეკემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხე მთავრობის მიერ 2015 წლის 27 მაისს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლითაც სასამართლოს ეთხოვა, საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოერიცხა, და ასევე მხედველობაში მიიღო მომჩივნების პასუხი ამ დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და წარმოება

1. მომჩივნების სია წარმოდგენილია დანართში. ყველა მომჩივანი საქართველოს მოქალაქეა და მათ სასამართლოში წარმოდგენდნენ ქ-ნი თ. აბაზაძე, ქ-ნი კ. შუბაშვილი და ქ-ნი თ. დეკანოსიძე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობენ ქ. თბილისში.

2. მომჩივნების მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ა) 2009 წლის 15 ივნისის ინციდენტი

3. 2009 წლის აპრილის დასაწყისიდან ივნისის ბოლომდე ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი ყოველდღიურად მართავდა დემონსტრაციებს ქ. თბილისის სხვადასხვა ნაწილში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა მთავარ ქალაქში პრეზიდენტ მ. სააკაშვილის და მისი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. ამ პერიოდის განმავლობაში იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია სავარაუდოდ იყენებდა გადამეტებულ ძალას დემონსტრანტების წინააღმდეგ. წინამდებარე საჩივარი ეხება ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2009 წლის 15 ივნისს.

4. კერძოდ, 2009 წლის 15 ივნისის დილას ოპოზიციური ჯგუფის ორმოცდაათი წევრი და მხარდამჭერი, მათ შორის ათივე მომჩივანი, შეიკრიბა თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობასთან, რათა გაეპროტესტებინა ოპოზიციის აქტივისტების დაპატიმრება, რომელსაც ადგილი რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა. პოლიციამ დემონსტრანტებს ოცი წუთი აცადა და შეუდგა ძალისმიერი მეთოდებით მათ დაშლას.

5. პირველი, მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი წულაძე) მომჩივნების განცხადებით მათ დემონსტრაციის დაშლაში მონაწილე პოლიციელებისგან მიიღეს რამდენიმე ძალისმიერი დარტყმა ხელკეტებით ხერხემლების, თავებისა და ხელების არეში. დემონსტრაციის დაშლის შემდეგ რამდენიმე მონაწილე და მათ შორის ხუთი მომჩივანი დააკავეს და პოლიციის სამმართველოს შენობაში შეიყვანეს. დაკავებული დემონსტრანტები, მათ შორის ხუთი მომჩივანი, იძულებით დააწვინეს ძირს, ხოლო პოლიციელები მათ შეურაცყოფას აყენებდნენ, ფეხს და ხელკეტს ურტყამდნენ.

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ექვსი მომჩივნის მიმართ დაწყებული წარმოება

6. იმავე დღეს, 2009 წლის 15 ივნისს პოლიციამ დაუდგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მომჩივნებს, მეორედან მე-7 მომჩივნის ჩათვლით (ბ-ნი ჭიქაშვილი, ბ-ნი მესხი, ბ-ნი საბანაძე, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი სიხარულიძე)

7. ცალ-ცალკე ჩატარებული სასამრთლო განხილვების შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვადასხვა მოსამართლემ,

თავიანთი 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებებით, დაადასტურა ხსენებული ექვსი მომჩივნის ბრალეულობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და პოლიციელთა კანონიერი ბრძანებებისადმი წინააღმდეგობის გაწევაში.

8. მეექვსე მომჩივნის (ბ-ნი მაისურაძე) გარდა, დანარჩენმა (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-7) მომჩივნებმა უარი განაცხადეს სასამართლო განხილვისთვის ადვოკატის დანიშვნაზე.

9. მეორე, მე-3, მე-4 და მე-5 მომჩივანს (ბ-ნი ჭიქაშვილი, ბ-ნი მესხი, ბ-ნი საბანაძე და ბ-ნი ჩითარიშვილი) შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით; ხოლო მე-6 და მე-7 მომჩივანს (ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი სიხარულიძე) თითოეულს დაეკისრა ჯარიმის გადახდა 400 ლარის ოდენობით (დაახლოებით 180 ევრო)

10. 2009 წლის 23 ივნისს მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 მომჩივნებმა (ბ-ნი ჭიქაშვილი, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი სიხარულიძე) გაასაჩივრეს სასამართლოს მიერ მათ მიმართ 2009 წლის 15 ივნისს შეფარდებული სახდელი. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მათი სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად სცნო შესაბამისად 2009 წლის 24, 25, 26 და 29 ივნისს.

11. რაც შეეხება მე-4 მომჩივანს (ბ-ნი საბანაძე), მის მიმართ 2009 წლის 15 ივნისს გამოტანილ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი არ წარუდგენია.

დ) ხუთი მომჩივნის მიერ პოლიციის მხრიდან უფლებების დარღვევის გამო შეტანილი სისხლის სამართლის საჩივრები

12. 2009 წლის 19 ივნისს პირველმა, მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 მომჩივნებმა (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი წულაძე) სისხლის სამართლის საჩივრები შეიტანეს მთავარ პროკურატურაში 2009 წლის 15 ივნისს მათ მიმართ ქუჩის საპროტესტო აქციის დაშლისას და ასევე თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობაში პოლიციელების მხრიდან განხორციელებული ძალადობის გამო.

13. ამის შემდგომ, 2009 წლის 9 და 20 ივლისს და 3 აგვისტოს იმავე ხუთმა მომჩივანმა კითხვით მიმართა პროკურატურას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

14. 2009 წლის 17 აგვისტოს თბილისის პროკურატურიდან მოვიდა პასუხი, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება

პოლიციის მხრიდან შესაძლო უფლებების დარღვევის ფაქტზე 2009 წლის 15 ივნისს დაიწყო. მაგრამ, ვინაიდან არცერთ მომჩივანს დაზარებულის სტატუსი არ ჰქონდა, მათ გამოძიების მასალებს ვერ მიაწოდებდნენ.

სამართალი

15. 2014 წლის 29 სექტემბერს სასამართლომ მთავრობას აცნობა (1) 1-ლი, მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 მომჩივნების (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი წულაძე) მიერ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად შემოტანილი საჩივრების შესახებ, (2) მეორედან მეშვიდეს ჩათვლით, მომჩივნების, მიერ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად შემოტანილი საჩივრების შესახებ და (3) ათივე მომჩივნის მიერ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად შემოტანილი საჩივრების შესახებ.

ა) მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია

16. მთავრობამ 2015 წლის 27 მაისის წერილით შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდა საჩივარში არსებული საკითხების გადაჭრის მიზნით ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება.

17. ამასთან მიმართებით მთავრობამ აღიარა შემდეგი:

(1) კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა პოლიციის მხრიდან ქუჩის საპროტესტო აქციის დაშლისას ან/და თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობაში 1-ლი, მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 მომჩივნების (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი წულაძე) მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტური გამოძიების არჩატარების გამო,

(2) კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების დარღვევა მე-2, მე-3 და მე-5 მომჩივნებისთვის (ბ-ნი ჭიქაშვილი, ბ-ნი მესხი და ბ-ნი ჩითარიშვილი) დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გამო,

(3) და კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა ათივე მომჩივნის მიერ 2009 წლის 15 ივნისს ქუჩის საპროტესტო აქციის გაგრძელების შეუძლებლობის გამო.

18. მთავრობამ მიუთითა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ქვეყნის შიდა დონეზე ეფექტური გამოძიების ჩატარებით არის შესაძლებელი, დადგინდეს მართლაც ჰქონდა თუ არა 1-ლი, მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 მომჩივნების (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი წულაძე) მიმართ პოლიციის მიერ, კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლებების დარღვევას, ის ვერ შეაფასებდა წინასწარ ქვეყნის შიდა გამოძიების შედეგებს და ვერ აღიარებდა კონვეციის მე-3 მუხლის დარღვევას მატერიალურ ნაწილში.

19. კონვენციის ხსენებული დარღვევების გამო დამდგარი სიტუაციის გამოსასწორებლად მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ (ა) ჩაატაროს ეფექტური გამოძიება ხსენებული ხუთი მომჩივნის (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი მესხი, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე და ბ-ნი წულაძე) მიერ გამოთქმული ძალადობის ბრალდებების საქმეზე, და (ბ) გადაუხადოს მომჩივნებს შემდეგი თანხები ყველა მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე ყველა ხარჯისა და დანახარჯის დასაფარად, აგრეთვე ყველა სხვა გადასახადის ანაზღაურების სახით, რაც შესაძლოა მომჩივნებს დაეკისროს:

(1) ბ-ნ მესხს და ბ-ნ ჩითარიშვილს 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო თითოეულს;

(2) ბ-ნ ბექაურს, ბ-ნ მაისურაძეს და ბ-ნ წულაძეს 3 500 (სამი ათას ხუთასი) ევრო თითოეულს;

(3) ბ-ნ ჭიქაშვილს 1 500 (ათას ხუთასი) ევრო;

(4) ბ-ნ საბანაძეს, ბ-ნ სიხარულიძეს, ბ-ნ ქადაგიძეს და ქ-ნ ქობალიას 1 000 (ათასი) ევრო თითოეულს.

20. მთავრობამ მიუთითა, რომ აღნიშნული თანხები გადაყვანილი იქნება ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით, და გათავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება იქნას დარიცხული, თანხები გადახდილი იქნება სასამართლოს განჩინების შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში. თუ აღნიშნული თანხების გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ სამთვიან ვადაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას გადასახდელ თანხას დაუმატოს პროცენტი სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან ფაქტობრივ გადახდის დღემდე; ამ შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის

ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

21. ზემოხსენებული აღიარების და აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, მთავრობამ შესთავაზა ათივე მომჩივანს სხვა მოთხოვნები აღარ დაეყენებინათ და საქმის საბოლოო გადაწყვეტას დასთანხმებოდნენ, და ასევე სთხოვა სასამართლოს, საჩივარი სრულად ამოერიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ა) პირველიდან მეექვსე მომჩივნის და მე-10 მომჩივანთან მიმართებით

22. 2015 წლის 13 ივლისის თავიანთი წერილით მომჩივნებმა, პირველიდან მეექვსე მომჩივნის ჩათვლით, ასევე მე-9 და მე-10 მომჩივნებმა (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი ჭიქაშვილი, ბ-ნი მესხი, ბ-ნი საბანაძე, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე, ბ-ნი ქადაგიძე და ქ-ნი ქობალია) აცნობეს სასამართლოს, რომ ისინი მთავრობის დეკლარაციით შეთავაზებული მორიგების პირობებს თანხმდებოდნენ, სხვა მოთხოვნებზე უარს აცხადებდნენ და საჩივრის ნუსხიდან ამორიცხვის წინააღმდეგნი არ იყვნენ.

23. სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნი ბექაურის, ბ-ნი ჭიქაშვილის, ბ-ნი მესხის, ბ-ნი საბანაძის, ბ-ნი ჩითარიშვილის, ბ-ნი მაისურაძის, ბ-ნი ქადაგიძის და ქ-ნი ქობალიას მიერ მთავრობის დეკლარაციის პირობებზე დათანხმების შემდეგ საქმე არსებითად მხარეებს შორის მეგობრული მორიგებით გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. ამდენად, სასამართლო მხედველობაში იღებს ამ მეგობრული მორიგების პირობებს. სასამართლო, შეახსენებს რა მომჩივნებს, რომ მორიგების პირობების აღსრულებაზე ზედამხედველობა მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება (კონვეციის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი), მიესალმება იმ ფაქტს, რომ მორიგება ემყარება კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებების პატივისცემას, და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საფუძველი, გაგრძელდეს საჩივრის განხილვა.

24. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოღება კონვენციის 39-ე მუხლის თანახმად.

ბ) მეშვიდე და მერვე მომჩივნებთან მიმართებით

25. თავიანთი 2015 წლის 13 ივლისის წერილით მე-7 და მე-8 მომჩივნებმა აცნობეს სასამართლოს, რომ მზად არ იყვნენ, მიეღოთ მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია შემდეგ მიზეზთა გამო.

26. მეშვიდე მომჩივანმა, ბ-მა სიხარულიძემ მიესალმა მთავრობის მიერ კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევის აღიარებას, თუმცა აღნიშნა, რომ მთავრობამ მას ბოდიში უნდა მოუხადოს და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით დაცული უფლებების დარღვევისთვის კომპენსაცია გადაუხადოს.

27. რაც შეეხება მე-8 მომჩივანს, ბ-ნ მაისურაძეს, თუმცა იგი ასევე კმაყოფილებით აღნიშნავდა კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მისი უფლების დარღვევის მთავრობის მიერ აღიარების ფაქტს, მაგრამ გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ცალსახად არ იქნა აღიარებული კონვენციის მე-3 მუხლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო ნაწილში დარღვევის ფაქტი. მან ასევე მოითხოვა, რომ მთავრობას მისთვის გადასახდელი კომპენსაციის თანხა გაეზარდა.

28. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად მას უფლება აქვს, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გადაწყვიტოს, ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ ადგილი შეიძლება ჰქონდეს 37-ე 1-ლი პუნქტის "ა', "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს. 37-ე მუხლი 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი უფლებას აძლევს სასამართლოს ამორიცხოს საქმე ნუსხიდან, თუ:

> "სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი მიზეზით საჩივრის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული".

29. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ გარკვეულ ვითარებაში მას შეუძლია, საჩივარი ამორიცხოს ნუსხიდან 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომჩივანი ითხოვს საქმის განხილვის გაგრძელებას (იხ. *Taktakishvili v. Georgia* (განჩინება.), no. 46055/06, 2012 წ. 16 ოქტომბერი).

30. დამატებით სასამართლო მიუთითებს, რომ მას შეუძლია, მიიღოს ცალმხრივი დეკლარაცია მაშინაც კი, როცა მეგობრული მორიგების მოლაპარაკებებს წინასწარ ადგილი არ ჰქონია (იხ. *Union*

of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia (განჩინება), no. 72874/01, §§ 23-30, 2015 წ. 21 აპრილი).

31. ამ მიზნით, სასამართლომ განიხილა დეკლარაცია თავისი პრეცედენტული სამართლიდან, კერძოდ, *ტაჰსინ აკარის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პრინციპების ჭრილში (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* (წინასწარი მოსმენა) [დიდი პალატა], no. 26307/95, 75-77-ე პარაგრაფები, ECHR 2003-VI); *WAZA Spółka z o.o. v. Poland* (განჩინება) no. 11602/02, 2007 წ. 26 ივნისი; და *Sulwińska v.* Poland (განჩინება) no. 28953/03).

32. ამ ორი მომჩივნის არგუმენტებს სასამართლო არ თვლის საფუძვლიან პრეტენზიებად, რომლებიც მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის მნიშვნელობას გადაწონიდა. ასე მაგალითად, ბ-ნი სიხარულიძის პრეტენზია, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად გაკეთდა, არცერთ შემთხვევაში შეიძლება იქნას მიღებული კიდევ ერთ საფუძვლად კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ქვემოთ 37-44 პარაგრაფები). რაც შეეხება ბ-ნი წულაძის არგუმენტს, სასამართლო მიიჩნევს, რომ, წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ნაწილში დარღვევის აღიარება, რასაც ემატება მთავრობის მხრიდან მომჩივნების უფლებების დასაცავად ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების აღება, არის რაციონალური და საკმარისად სრული საქმის არსის მოსაცველად და აღარ უტოვებს მომჩივანს იმის მტკიცების საშუალებას, რომ კონვენციის ამ დებულების ნაწილში მისი უფლებების დარღვევა გრძელდება (მაგალითისთვის და ბოლო სასამართლო პრეცედენტისთვის იხ. *Prądzyński v. Poland* (განჩინება), no. 49284/10, 2014 წ. 25 მარტი, და შედარებისთვის იხ. ასევე Danelia v. Georgia, no. 68622/01, §§ 40-46, 2006 წ. 17 ოქტომბერი, სადაც ქვეყნის შიგნით სისხლის სამართლის საქმის საფუძვლიანი გამოძიების არარსებობის პირობებში სასამართლოს არ შეეძლო, შეეფასებინა მომჩივნის პრეტენზია კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების მატერიალურ ნაწილში დარღვევის თაობაზე).

33. ამ მოსაზრების გასამყარებლად სასამართლომ მოიხმო ის გარემოება, რომ მას უკვე მრავალ საქმეზე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე, ჩამოყალიბებული აქვს პრაქტიკა პოლიციის მხრიდან ძალადობის და მასზე არასათანადო გამოძიების ჩატარების გამო გაკეთებული პრეტენზიების

განხილვის თვალსაზრისით (სხვა საქმეებს შორის იხ. ასევე *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, §§ 105-112, 2014 წ. 7 ოქტომბერი; *Davtyan v. Georgia*, no. 73241/01, §§ 35-47, 2006 წ. 27 ივლისი).

34. მთავრობის დეკლარაციაში მოცემული აღიარების ხასიათის და ბ-ნი სიხარულიძისთვის და ბ-ნი წულაძისთვის შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც მოცემულ საქმეში არსებული გარემოებების ადეკვატურია (შედარებისთვის იხ. *Botchorishvili v. Georgia* (განჩინება), no. 652/10, §7 2015 წ. 30 ივნისი და ასევე *Batiashvilebi v. Georgia* (განჩინება), no. 75737/11, § 9, 2015 წ. 30 ივნისი), სასამართლოს არ მიაჩნია გამართლებულად საჩივრის შემდგომი განხილვა (37-ე მუხლის 1 (გ) პუნქტი).

35. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, კერძოდ კი, საკითხზე არსებული ცალსახა და ვრცელი პრეცედენტული სამართლის არსებობის პირობებში, სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვა არ მოითხოვს საჩივრის შემდგომ განხილვას (37- ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შეჯამების შედეგად).

36. და ბოლოს, სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ თუკი მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივ დეკლარაციაში მოყვანილ პირობებს, ამას შესაძლოა, მოჰყვეს საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენა კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (იხ. საქმე *Josipović v. Serbia* (განჩინება), no. 18369/07, 2008 წლის 04 მარტი).

37. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოღება.

გ) საჩივრის მიუღებელი ნაწილი

38. მეშვიდე მომჩივანი, ბ-ნი სიხარულიძე ასევე აცხადებდა პრეტენზიას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, რომ მის მიმართ დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სასამართლო განხილვა უსამართლო იყო და, რომ იგი ბრალეული არ იყო.

39. მთავრობამ ამ პრეტენზიის წინააღმდეგ განაცხადა, რომ ვინაიდან მე-7 მომჩივნისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის დადგენილების სასამართლო განხილვის შედეგად ადმინისტრაციული სახდელის სახით მცირე, 180 ევროს

(იხ. ზემოთ მე-8 პარაგრაფი) ოდენობის ჯარიმა მოჰყვა, აღნიშნული სამართალწარმოება ვერ მოექცევა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ ნაწილში (შესადარებლად იხ. *Menesheva v. Russia*, no. 59261/00, §§ 95-97, ECHR 2006-III).

40. მომჩივანი არ დაეთანხმა მთავრობის ამ განცხადებას, და ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი ნაწილი მის შემთხვევასაც ეხებოდა.

41. მაგრამ, სასამართლომ ამ ეტაპზე გვერდზე გადადო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების განსახილველ სამართალწარმოების მიმართ გამოყენებადობის საკითხი, და მნიშვნელოვნად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სადაო სამართალწარმოების შედეგი უმნიშვნელო ხასიათის იყო და, რომ მომჩივანს სულ რაღაც 180 ევროს გადახდა დაეკისრა. ამასთან მიმართებით სასამართლო მოიხმობს იმ ფაქტს, რომ კონვენციის მე-14 ოქმით შესწორებული 35-ე მუხლი ადგენს მისაღებობის ახალ კრიტერიუმს, და ამბობს:

> "3. სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივარს, თუ ის მიიჩნევს, რომ: ...
>
> (ბ) მომჩივანს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონვენციისა და მისი ოქმებით დაცული ადამიანის უფლებების დაცვა მოითხოვს ამგვარი საჩივრის არსებით მხარის განხილვას, და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლით ვერცერთი ის საქმე ვერ იქნება უარყოფილი, რომელიც ეროვნული სასამართლოების მიერ სათანადოდ არ ყოფილა განხილული."

42. ამ კონკრეტულ საქმეზე, უპირველესად ჯარიმის მცირე მოცულობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ითქვას, მომჩივანს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა (სხვა საქმეებს შორის შედარებისთვის იხ. *Kudlička v. the Czech Republic* (განჩინება), no. 21588/12, 2015 წ. 3 მარტი; *Kiousi v. Greece* (განჩინება), no. 52036/09, 2011 წ. 20 სექტემბერი; *Šumbera v. the Czech Republic* (განჩინება), no. 48228/08, 2012 წ. 21 თებერვალი; და ასევე *Gaftoniuc v. Romania* (განჩინება), no. 30934/05, 2011 წ. 22 თებერვალი).

43. ამას გარდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სასამართლო განხილვის მიმართ წაყენებული პრეტენზია, რომელიც თავის მხრივ უკვე კარგად დამკვიდრებულ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არის წარმოდგენილი (სხვა საქმეთა შორის იხ. *Kakabadze and Others v. Georgia*, no. 1484/07, §§ 84-93, 2012 წ. 2

ოქტომბერი; *Osmani and Others v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"* (განჩინება), no. 50841/99, ECHR 2001-X; *Galstyan v. Armenia*, no. 26986/03, §§ 100-102, წ. 15 ნოემბერი; *Ashughyan v. Armenia*, no. 33268/03, §§ 75-77, 2008 წ. 17 ივლისი; და *Sergey Kuznetsov v. Russia*, no. 10877/04, § 36, 2008 წ. 23 ოქტომბერი), არ ეხება არსებული ნორმის რაიმე მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც გაამართლებდა წინამდებარე საჩივრის არსებით განხილვას.

44. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან მომჩივნის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი მართლაც იქნა განხილული ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვეყნის შიდა საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი არგუმენტების წარდგენა შეეძლო, და ვინაიდან კონვენციის 35-ე მუხლის 3 (ბ) პუნქტის დამცავი დებულება საერთო ჯამში არ ეხება სამართალწარმოების შედეგს, არამედ უბრალოდ მოითხოვს, რომ საქმე ქვეყნის შიდა სასამართლოებმა განიხილონ (შედარებისთვის იხ. *Uhl v. the Czech Republic* (განჩინება), no. 1848/12, § 31, 2012 წ. 25 სექტემბერი), „ქვეყნის შიდა სასამართლოების მიერ სათანადო განხილვის" კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.

45. შესაბამისად, წინამდებარე საჩივარი მიუღებელია კონვენციის 35-ე მუხლის 3(ბ) პუნქტის მიხედვით, რადგან მომჩივანს მნიშვნელოვანი ზიანი არ მისდგომია, და ამდენად უარყოფილი უნდა იქნეს 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

46. ამ დასკვნის გათვალისწინებით, მთავრობის მიერ საჩივრის მიუღებლობის შესახებ გაკეთებული განცხადება (იხ. 38-ე პუნქტი) არ საჭიროებს განხილვას.

ამის გათვალისწინებით სასამართლო ერთსულოვნად

იღებს გადაწყვეტილებას, კონვენციის 39-ე მუხლის თანახმად ამორიცხოს საჩივრის ნაწილი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კერძოდ, პირველიდან მე-6 მომჩივნის ჩათვლით, ასევე მე-9 და მე-10 მომჩივნების (ბ-ნი ბექაური, ბ-ნი ჭიქაშვილი, ბ-ნი მესხი, ბ-ნი საბანაძე, ბ-ნი ჩითარიშვილი, ბ-ნი მაისურაძე, ბ-ნი ქადაგიძე და ქ-ნი ქობალია) მიერ გაკეთებული პრეტენზიების ნაწილში;

გაითვალისწინა კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების შესაბამისად მე-7 და მე-8 მომჩივნების (ბ-ნი სიხარულიძე და ბ-ნი წულაძე) მიერ გაკეთებულ პრეტენზიებზე მოპასუხე მთავრობის

დეკლარაციის პირობები და ამ დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის პროცედურა;

იღებს გადაწყვეტილებას, კონვენციის 37-ე მუხლის 1 (გ) პუნქტის შესაბამისად ამორიცხოს საჩივრის ნაწილი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კერძოდ მე-7 და მე-8 მომჩივნების (ბ-ნი სიხარულიძე და ბ-ნი წულაძე) მიერ მე-3 და მე-11 მუხლების თანახმად გაკეთებული პრეტენზიების ნაწილში.

აცხადებს საჩივრის დარჩენილ ნაწილს მიუღებლად.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობითი ფორმით 2015 წლის 8 ოქტომბერს.

ფატოშ არაჩი	ლედი ბიანკუ
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე	თავმჯდომარე

დანართი

№	სახელი, გვარი დაბადების წელი / საცხოვრებელი ადგილი
1.	ბ-ნი გიორგი ბექაური 1988 / დუშეთი, საქართველო (პირველი მომჩივანი)
2.	ბ-ნი მერაბ ჭიქაშვილი 1976 / თბილისი, საქართველო (მეორე მომჩივანი)
3.	ბ-ნი მიხეილ მესხი 1985 / თბილისი, საქართველო (მესამე მომჩივანი)
4.	ბ-ნი გიორგი საბანაძე 1986 / თბილისი, საქართველო (მეოთხე მომჩივანი)
5.	ბ-ნი გიორგი ჩითარიშვილი 1988 / ყვარელი, საქართველო (მეხუთე მომჩივანი)
6.	ბ-ნი ვახტანგ მაისურაძე 1986 / თბილისი, საქართველო (მეექვსე მომჩივანი)
7.	ბ-ნი გიორგი სიხარულიძე 1989 / ქუთაისი, საქართველო (მეშვიდე მომჩივანი)
8.	ბ-ნი ლუკა წულაძე 1980 / თბილისი, საქართველო (მერვე მომჩივანი)
9.	ბ-ნი ზურაბ ქადაგიძე 1987 / თბილისი, საქართველო (მეცხრე მომჩივანი)
10.	ქ-ნი ნათია ქობალია 1982 / თბილისი, საქართველო (მეათე მომჩივანი)